შეისისხლობრც მეცნიერების ეს მაღალი იდეალი, თავი დასდევ ტანჯულ ადამიანის სასამსახუროდ და იმ თავითვე ცხადთ გქონდა წარმოდგენილი რა მძიმე, პასუხსაგები ვალდებულება იკისრე ამ ეკლიან გზაზე. დიდხანსა და სერიოზულად ემზადებოდი მომავალ მოღვაწეობისათვის და ჩვენი შენ პირველ-თაგანი იყავ მეცნიერულად განათლებული მეკურნალი. ჩვენი საზოგადოება ბედნიერი იყო, რომ გხედვდა განათლებულ მოღვაწეს სამკურნალო ასპარეზზე ტ შენი სახელი ერთბაშად გაითქვა მთელს მხარეში.

როგორც მეცნიერულად განათლებული მეკურნალი, იმ თავიდანვე მიმხდარი იყავი, რომ მედიცინა, ტანჯულთა წამლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებაში, რომ ამისათვის სულ უბრალო საავადმყოფო უფრო მაღლა დგას და უკეთესია, ვიდრე უმდიდრესი ჩვეულებრივი მოწყობილობა. ამიტომაც შენ მიზნად დაიდე ბრძოლა, მუშაობა ავადმყოფ ადამიანის არსებობის საუკეთესო პირობებისათვის, ე. ი. მიზნად დაიდე სამკურნალო დაწესებულების შექმნა. ის, რაც ვერ გააკეთეს საზოგადოებამ და დაწესებულებებმა, გააკეთე მარტო შენ და გააკეთე ნიჭიერად, სამაგალითოდ. შენ მიერ შექმნილი საავადმყოფო როგორც ვარჯიშ პირობებით, ისე შინაგან მოწყობილობით თამამად უნდა ჩაითვალოს სამაგალითოდ არა მარტო ჩვენის ქვეყნისათვის, არამედ ყოველ სატახტო ქალაქისათვისაც. შენ ცხადათ და თვალსაჩინოდ გქონდა წარმოდგენილი მშრომელ ხალხის ინტერესი: ეს ხალხი მოკლებული იყო ყოველგვარ სამკურნალო, განსაკუთრებით საზრიან ქირურგიულ დახმარებას და შენც სამაგალითო ქირურგიული განყოფილება შექმენი შენს საავადმყოფოში, სადაც მუდამ საუკეთესო სამეცნიერო ძალების მოწვევას ახერხებდი ხოლმე. ამიტომაც შენ შეიქმენი საავადმყოფო საქმის პიონერად გუბერნიაში. ხალხმა მალე დაინახა და დააფასა შენი დაწესებულება. შენ საავადმყოფოს გახსნიდან ხალხში გაჩნდა და გავრცელდა ნდობა მეცნიერებისა, სამეცნიერო მედიცინისა. ეს არის ახალი მხარე შენის ნათელის მოღვაწეობისა. აქ შენ მარტო ექიმი კი არ იყავ; არამედ ხალხის შეგნების განმანათლებელი, რადგან შენ შექმენი და აღზარდე ხალხში ნდობა მეცნიერებისა.

შენის ღვაწლის სიტყვით გამოთქმა ძნელი არ არის, მაგრამ რამდენი ძალა, ნიჭი და ენერჯია იყო

საქირო შენის საქმისათვის, განსაკუთრებით ასეთ არა სასურველ პირობებში.

მართალია, თანაგრძობა იყო, მაგრამ ეს თანაგრძობა არ ყოფილა სწორედ იქ, სადაც უფრო მოსალოდნელი იყო. შეუდექე თუ არა შენ საქმეს, მაშინვე იჩინა თავი უფრო, მტრობამ და სხვა ქვეყნის გრძობებმა, და ჩვენ და სასიცოცხლო, სწორად ექიმების წრეში. მაგრამ მაშინდელი მტრები შენის წმიდა საქმისა შეტრიგდნენ მას და არა დღეს, როცა შენს ბნელ კუბოს დაპქეთინებენ და ცრემლებს აფრქევენ: შენის ხელით შექმნილობა საქმემ დიდი ხანია დაიმორჩილა ისინი.

შენმა ძლიერმა სულმა, დაუღალავმა ენერჯიამ, საქმისათვის თავდადება და ერთხელ არჩეულ მიზნის ბეჯითმა სამსახურმა სძლიეს დაბრკოლებანი და შენ შექმენი დიდი, წმიდა საქმე ამისათვის საკმარისი არ იყო მარტო სიყვარული და ცოდნა, აუცილებელი იყო სავსებითი მისცემოდი საქმეს, თავი გადაგვედო მისთვის. შენც შეგნებულად უარსჰყავ პირადი ცხოვრება, პირადი სიკეთე. როცა მეგობრულად გისაყვედურებდი ხოლმე უცოლშვილობას, შენ მიგვითითებდი საავადმყოფოზე და ავადმყოფებზე და არა თავმოწონებობით და არა სიამაყით გვეტყაოდი ხოლმე—აი ჩემი ოჯახი, აი ჩემი შვილებიო. ბოლომდე გიყვარდა შენ ავადმყოფები, ტანჯულები, მთელი შენი სიცოცხლე მათ სამსახურს შესწირე მსხვერპლად. „უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს; რათა სული თვისი დაჰსდვას მეგობართა თვისთათვის“.

გვა მკურნალის მოღვაწეობისა ეკლიანია და სიძნელეთა და ტანჯვით აღსავსე; ბედნიერი წამი იშვიათია. მართლაც დიდიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე, მუდამ დღე ტანჯულ ხალხს ხედავ, მომავლადვის კენესა გესმის და ხშირად, მეცნიერების ნაკლის გამო, არც კი შეგიძლია დახმარება და ტანჯვის შემსუბუქება; ამიტომ სინდისი გაწუხებს და ნუთუ ეს არ არის შინაგანი წამება, მძიმე ჯვარის ტარება! შენ პატიოსნად გაიარე ეს გზა, მხნე და გაბედულად მიგქონდა ექიმის მძიმე ჯვარი, მსხვერპლად სწირავედი თავს მოყვასის სამსახურს თანახმად იმ სიმბოლოსა, რომელიც აიჩინა განთქმულმა მეცნიერმა თავისთვის და მთელ სამკურნალო წოდებისათვის: ანთებული სანთელი უნათებს სხვებს და თვითონ კი იწვის.



როცა შენ ჰქმნიდი და განაგრძობდი შენ დიდებულ საქმეს, შიანთქმული იყავ საქმით, ყოველთვის და ყოველგან მღელვარებდი და იწვიადი წმინდა სიყვარულის ცეცხლით. შენ ვერ დაწყნარდებოდი, ვერ დამშვიდდებოდი, რადგან ეს წინააღმდეგი იყო მთელის შენის ბუნებისა. მუდამ მხედ იდექ შენ კეთილშობილ პოსტზე, გამსახურებოდი ტანჯულ აღამიანს და ნამდვილად დაიწვი; და ის შეუბრალებელი ავადმყოფობა, რომელმაც მოსპოა შენი კეთილი სიცოცხლე, იყო შენი ორგანიზმის დაწვა. და იწვა შენი ორგანოები, შენი უჯრედები და შენი არსება სასუკნით იწვიდა საქმის წმინდა სამსახურში ბოლომდე ასრულებდი ამ მისიამბ მეცნიერების აღთქმას და შენ გახდი მეურნალების მთელ წოდების საამაყოლ.

ძვირფასო სამსონ! გხედავ კუბოში ჭ ვერძობ, რომ საფლავი სამუდამოდ წაგვართმევს შენ თავს, საშინელება და სასოწარკვეთილება მიტანს, მაგრამ ნუვეყმის მომცემი ის მდიდარი მიღრეკილებია, რომელსაც გვიტოვებ. შენ მოკვდი, მაგრამ სიკვდილის ეველადფერი არ წაუღია თან. შენ მოკვდი და უპანასკნელი აღთქმა დაგვიტოვე—გიყვარდით ჩემი საქმე, გიყვარდით ისე, როგორც მე მიყვარდა.

თუ შენ შემთხვევითი ვარსკვლავი არ იყავი ჩვენ ბნელ ცაზედ, თუ საზოგადოება შეგნებულად კვლდებოდა შენს მოღვაწეობას, თუ ჩვენი მწუხარება ღრმა არის, თუ ჩვენი ცრემლი გულწრფელია, აქვე შენ საფლავთან უნდა აღგიტყვათ, შეეასრულოა წმინდა შენი აღთქმა, და შენ კი, ძვირფასო ამანაგო, მშვიდობით საუკუნოდ, განისვენე საუკუნო აღუშფოთებელის ძილით.

III.

ს ი ტ მ ა

თქმთა აკაკის მიერ ს. თაფურასს დასთვლავებაჲსჳდ!

საყვარელო ძმაო და ძვირფასო მეგობარო! გრძობა მეყვის ჭ გონება მიილუწვდება თვალცრემლიანს, ჩემ წინ უსულოდ მდებარეს რომ გიყურებ!.. მართალია, უზუნაესი სიბრძნე ჩვენდა სან უგეზოდ ბრძანებს: „სიკვდილი ცოდევილია ბოროტ არას, ხოლო მართალია განსვენებაო“, და მართალიც შენა ხარ და შენი სიკვდილიც, მაშასადამე, სასურველი საშარდისო განსვენებაა, მაგრამ ქვეყნისურთა უძლური გული ვერ

აიტანს ვერც წუთიერ უბედურებას, და ამიტომ მიანც გტირათ შენ, თუმცა საგლოვიარო და სატირელი ვართ ჩვენ, შენა დამკარგველნი, და არა თვით შენ, რომელზედაც ვერავინ იტყვის, რომ იყო ქვეყნად და ქვეყანას კი ვერა-რა არგოა!..

როც თავისავედ ცხადია, იმას საბუთო აღაგვირვება!.. შარავანდედენილი შენი ცხოვრების გზა იმ თავიდან ამ ბოლომდე ყველას გათვალწინებული გვაქვს და მოვისაენიებთ მხოლოდ მოკლედ: ხელმოკლე ოჯახის შვილი მხოლოდ სხვების დახმარებით მიდისარ—მიისწრაფი შორს სამშობლოდგან, უმაღლეს სწავლა-განათლებლის მისაღებად. იქ, უცნო მხარეში, მოგვლის შენ გავირვება და, დღიერ საზრდოს მოსაპაებლად, დღიერ მუშად დგებო, ოღონდ კი განაგრძო შენი არჩეული გზა, რომელსაც ქვა-კუთხედად უძევს საზოგადო მისწრაფება და არა საპირადო რამ, რაც დღეს საზოგადო სენად არის ჩვენში გადაქცეული. ნამეტანი შრომით დასწნეულდებულს, სხვათა შორის, ბოტკინი ჭ გირბოვიც კი გირჩევენ, რომ თავი დაანებო შრომას, თუ სიცოცხლე გინდა!.. მაგრამ შენ კი მიანც სხვასა ფეჭობ: რად გინდა სიცოცხლე, თუ ქვეყნისათვის გამოუხსადვეარი იქნებო, და რა ის სიმბრთველ, რომელიც ჩემს მეტს არაკის არგოაო?—არა!.. გავუფრთხილდეს თავს, შევიბრძოლები ყოველ გვარ ხელის შემშლელ გარემოებას და მე კი ჩემსას არ დავიშლიო, და მართლაც გონიერმა მკბრძოლიმა სძლიე და მით გაამართლე ბრძნული თქმულობა: „მეუძღმებელი შესაძლოა მხოლოდ კაცისთვისო!.. დიამ, სრულიად გამომთოვლებული, სწავლა-მეცნიერებით აღტყურილი დაუბრუნდი სამშობლოს!.. ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ, ნამდვილა გულწრფელი მოღვაწეობა, სწორედ, რომ იობის განსაცდელია, გარემოები საქმით უშლიან ხელს და შინაურებიც სიტყვით იმ გარემოებს ემხარებანი! ერთის წაღმა ხნული ათისა და ასისვან უკუღმა იფარცხება. და ხალხის უმეტესობამ, იმ გულუბრყვილო ბრბომ, არ იცის, ვის დაუჯეროს!.. შენი მისწრაფება უბრალო ოცნება ვგონათ, რადგანაც ღარიბად გხვდვიდნენ. მაგრამ, როდესაც შენ, როგორც მოსემ, რომელმაც მარტო-ოდენ ერთის კვერთხის დაკვრით ურწყულ უღბნოში წყარო გამოადინა, არარისიგან შეჰქმენ საგრო საქმე, მაშინ კი გიწამეს

და დღეს თვალ-ცრემლიანნი შენს წინ თავს იხრიან.
და მეც ერთი შენი გულითაღი მეგობართაგანი,
სიცოცხლეშივე შენი თავყანის-მცემელი, გეთხოვები:

მშვიდობით, ძმობა და მეკაბარო!
ჩვენი მანამდე დაუფიქროს,
სანამ სრულიად არ დაშრეტადა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო!

შენებრ მიუღუპეს თანში ერთსეულ
ზეტა უცხოენის მიწას იმედად,
ერთ უდანოში ცხა დასრულეს—
ცხას მარცხებულად და სათღის სუტად.

რომ გულ-გატეხილს და დამონებულს
ჩამოაშორეს ეგვიპტით შტერო
და შიამყანოს აღთქმულ ქვეყანას
ახლ ცხოვრების მისუფრე კრა.

გურთხეულ იყოს საშვილი შვილოდ,
შენი სასულიც დაუფიქროს!
ვინც შიამდა ამ სათლად ვადი,
ის შვედარდ ცოტეხლბის-არ არას შვედარი!

შენც ხორციელად თუმა გვშორდება,
მაგრამ აქ რჩება ჩვენთანვე უხლი
ჭირში და ღვინში გამამსწევებდად,
ერთ უყვადებას და სიუფრედს;

მშვიდობით, ძმობა და მეკაბარო,
ჩვენი მანამდე დაუფიქროს,
სანამ სრულიად არ დაშრეტადა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო.

სამსოცნ (თრავაზის) სსოცნის

შენის სამშობლოს ერთგულთ შეიპოვო,
მის-საკუთილად თავ-დადებულთ,
მხნეო შუშავო, კეთილ მოღვაწეო,
შოთქასთ სამსოცნად და განმარტებულთ

შენ ერთად ერთად ღუსჭარ-სინატხის
თხრას ვაგების მშისუ-უქმებლო,
შენვე შეყვანდო ჩვენის წყლულების,
საერთ წინა სრბოლის მძებნელო!.

შენ მაკალით ცხოვრების კვლავად
სულის სიმსხით დაუღალავო,
შენვე სწინავე სამტყინის ბურჯო,
შენის სამშობლო ერთს ძადაო!

რად შოგვაძლე, რად გვიღალატე,
რად დავგაობლე, რისთვის დავგუარე!
რად ჩვეულებრივ სანუგეშო ხმა
აწ გაიმედე და მიგუფარე?.

დას გვრძნობთ ძმობა, უფველს დანაკლისს
გვრძნობთ რაც გვარგუნს სვემ და წერამს,
და ამისთვის ზოგადს გლოვანს
ხმა მისცა ჩვენმაც გულის ძვერამს!

მაგრამ რას ვეით ყოფის უღონო,
მხოლოდად გეტყვი: „მშვიდობით ძმობა!
აქ დაიპყვიდრე შოუფასთ გული
და ზესთ სავანეს განსვენებაო!..

თ. რსტემ გუას ნიქოფანია.

მუხანალ-გაჯიმთიბიდან.

30 ივნისს, ქუთაისში დასაფლავებს საუკეთესო
შეილი - დავუიწყარი სამსონ თოფურია. ქუთაისთან
ერთად ამ დღეს მგლოვიარედ იყო მთელი საქარ-
თველოც. იმერეთის დედა-ქალაქის საუკეთესო
შეილი მივლს საქართველოს ეკუთვნოდა, როგორც
გამოჩენილი ქართველი მოღვაწე.

საკვირველი იყო, მისი მხნეობა, ენერჯია, — არა
ჩვეულებრივი ქართველისათვის; საკვირველი იყო.
რომ ეს მხნეობა და ენერჯია სრულიად საზოგადო-
საქმეს ამსხვერბლია. ენერჯიით, შრომის მიყვარე-
ობით, მაგარის ხასიათით, საზოგადო საქმისადმი მედ-
გარის ლტოლივლივით განსვენებული უფრო ვერო-
პიელს მოგვეგონებდა, ვიდრე დროთა ციოთარების
გამო დამამუნებულს ქარიველს. ამ მხრით იცნობდა
მას მთელი ჩვენი ხალხი და ამიტომაც განსაკუთრე-
ბულს პატივსა სცემდა; ამიტომაც ყველას გული
დასწყვიტა მისმა მიულოღნელმა სიკვდილმა.

მისი სიცოცხლე ბრძოლად იყო გარდაქცეული

მას შემდეგ, რაც შეგნებული ცხოვრება დაიწყო. ჯერ კიდევ სკოლის სკამზე იჯდა, როცა ბრძოლა არსებობისათვის დასჭირდა. დაასრულა თუ არა ქუთაისის გინაზიის კურსი, ადესაში წავიდა და ბუნების მეტყველობის ფაქულტეტზე იწყო მუშაობა. მეტად ხელმოკლე იყო და ლუკმა პურს დიდის გაკირავებით შეულობდა, მცირე ფასიან გაცვეთილებით და, ასე გასინჯეთ, დღიურ უბრალო მუშის შრომათაც. ამ გაჯახირებულმა ცხოვრებამ იმდენ დასცა ეს მღვდელით კაცი, რომ ქლექი დაემართა. მაგრამ სამსონ თოფურია ამასაც არ შეუშინდა და თავის საკვირველის ენერგიით შეებრძოლა სიკვდილსაც. სწავლისთვის თავი არ დაუწებებია: ადესაში კურსის დამთავრების შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო მეცნიერების შესაძენად. ამ დროს ბედმა გაუღიმა და ერთი კერძო სტიპენდია იშოვა—ხერსონის მემათულის თავი, დადგმულიანიანსაგან დანიშნული. ამ გარემოებამ უშველა და ხარკოვში ისე აღარ გასჭირვებია ცხოვრება. თან სწავლობდა, თანაც გასაკვირველის ბეჯითობით უფლიდა თავს. მაგრამ კურსის დასრულებისას მაინც იმ ზომამდე ავიდა იყო, რომ გამოჩენილმა დივენოსტმა—ბოტკინმა—ერთი თვის ვადა მისცა: დაბრუნდი სამშობლოში, მაინც არაფერი გეშველებოდა. ამ სტრიქონების დაწყებამ, გუშინ გინაზიის მოწაფემა, ენახე სამსონი წყნარად იმ დროს, როცა იგი პეტერბურგიდან დაბრუნდა, სადაც ბოტკინს გაასინჯა თავი. თოფურია სულ დაღალული იყო და ჩურჩულით ძლივს ლაპარაკობდა. მაგრამ მხნობას არ ჰკარგავდა, დაწმუნებული იყო, რომ მოაჩვენოდა. მართლაც წავიდა სამეგრელოს მთებში, იწყო ბრძოლა საშინელ სენთან და სძლია, რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოვიდა ქუთაისში უკვე თვალსაჩინოდ გაღონიერებული და, როგორც მაშინ ამბობდნენ ქუთაისში, ბოტკინს შემდეგი მოკლე და ენერგიული დებუმა გაუღზავნა: „И смерть побѣдилъ. Савсонъ Топурия“...

ეს მძიმე ეპიზოდი განსვენებულის ცხოვრების საკმაოდ კარგად ახასიათებს ამ ადამიანის საოცარს ენერჯიასა და სულიერს ძალას. მაგრამ ამ ძალის საუკეთესო დამახასიათებელი მისი შემდეგი მოღვაწეობა და ბრძოლა იყო. ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული ახალგაზდა ამ კმაყოფილდებოდა წყნარებულ ექიმის ჩვეულებრივის კარიერით და განი-

ზრახა დიდის საზოგადო საქმის მოწყობა. მისი ცოცხალი გონება მეტად შეაწუხა და დააღონა იმ საცოდავმა სურათმა, რომელიც თვალ-წინ გადაეშალა მას, როგორც ექიმს: სამშობლო ქვეყანა სრულიად ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული საქიმო დახმარების მხრით. თვით ქუთაისში ერთად ერთი საავადმყოფო იყო—სამხედრო, რომელშიაც არა საავადმყოფო არ იყო არც ქუთაისში, არც სხვაგან იმერეთში და აქა-იქ გაბნეული კერძო ექიმები გაქირავების ზღვაში ერთ წვეთს წარმოადგენდნენ. ხალხი, მოკლებული წესიერს საქიმო დახმარებას, მატყუარა—მითხაბების სრულს განკარგულებაში იყო და დიდის უნდობლობით უცქეროდა განათლებულ ექიმებს. ასეთ გარემოებაში უთუოდ საჭირო იყო წესიერის საქიმო დაწესებულების შექმნა, რომელსაც ცოტათი მაინც შესძლებოდა ქვეყნისთვის საქიმო დახმარების მიწოდება.

სამსონ თოფურია ამ დასწყვიტა ამ საქირების დაკმაყოფილება იგი ვერ შეაშინა ვერავითარმა დაბრკოლებამ. ახალგაზდა ექიმი, რომელსაც გროშ არ გააჩნდა და ნდობაც არ ჰქონდა მოპოვებული და რომელიც ამასთანავე თითქმის მარტო იყო (მაშინ ქუთაისში ორი-სამი ქართველი ახალგაზდა ექიმი იყო მხოლოდ) მხნედ შეუდგა საქმეს და მალე ყოველივე დაბრკოლება სძლია ისე, როგორც წინადა სიკვდილს. გაიმარჯვა მისმა რწმენამ, მისმა გამბეობამ, ენერჯიამ, რომელიც საკვირვლად ხიბლავდა ყველას და შეუდრეკელს ნდობას უნერგავდა ახალგაზდა მოღვაწისადმი. სამსონმა ბევრი ფულიც იშოვა, ბევრი თანამგრძნობელიც, კარგი აშანაგებიც და მალე დააარსა კიდევ სამავალითო საავადმყოფო. საქირა არ არის ამ დაწესებულების აღწერა და აქ უაღვილოც არის: ყველამ იცის რომ, ასეთი საავადმყოფო პეტერბურგსა და მოსკოვსაც დაამშენებდა; ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი მნიშვნელობა და როლი დიდი იყო და არის დღესაც. „თოფურიას ბაღნიცა“ ისეთი სახელგანთქმული და შესანიშნავი შექმნა მთელ დასავლეთ საქართველოსთვის, რომ არ მოიძებნება შეუგნებელი გლეხი-კაცი, რომელმაც არ იცოდეს, რა არის ეგ „ბაღნიცა“ და რომელსაც ღრმა პატივისცემა არ ჰქონდეს იმის დამაარსებლისადმი. თოფურია და მის საავადმყოფოს მოღვაწეობამ ხალხში აღამილდა საქიმო მეცნიერების ავ-

ტორიტეტი და სასტიკად დაამარცხა მკითხაობა; თოფურიამ და იმის საავადმყოფომ მტკიცე საძირკველი ჩაჰყარეს, რომელზედაც შეუჩერებლად შენდება წესიერის საექიმო დახმარების საქმის კედლები.

აქვე უნდა შეგნიშნოთ, რომ კარგად მომზადებულია, მუყაითმა და აღამიანისაღმი ცოცხალის სიყვარულ-სიბრძნელოთი გამსჭვალულმა თოფურიამ მალე ისეთი სახელი გაითქვა ხალხში, რომ ითქმის საარაკო გმირადაც გარდიქვა: ვის არ გაუგონია რამდენი გულუბრყვილო ლეგენდა ტრიალებდა ხალხში თოფურიას სასწაულო მოქმედების შესახებ?! ბევრი, ძალიან ბევრი ძალ-ღონე შეაღოა განსვენებულმა თავის საყვარელ საქმეს და დიდი განძი დასტოვა, რისთვისაც არასოდეს არ დაივიწყებს მას სამშობლო მხარე.

ისიც არის კიდევ აღსანიშნავი, რომ სასმონ თოფურია სხვა საზოგადო საქმიანობისაც შოულობდა დროს და იქაც თავისებურის ენერგიით ეწეოდა უღელს: იყო ქალაქის საბჭოს ხმონად, საპატრიო მოძრაობებელ მოსამართლედ, მონაწილეობას იღებდა იმერეთის თავად-აზნაურობის და სხვა საზოგადო საქმეებშიც...

ასეთის მხნე მოღვაწისა და იშვიათის ბუნების აღამიანის დაკარგვა, რომელსაც ამასთანავე კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, დიდად საგრძნობელია ჩვენის ღარიბ ქვეყნისათვის და ამიტომ გულწრფელის გრძნობით ვუერთდებით ქუთაისის მწუხარებას და ამასთან ერთად ვკლოვობთ სამარადისოდ სახსოვარ სასმონ თოფურიას დაკარგვას. („იერია“)

* *

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: პეტერბურგში ღღემდე გადაწყვეტილი არა აქვთ, ბალტიის ესკადრა როდის გაგზავნონ შორეულ აღმოსავლეთს. ამბობენ, იქნება ესკადრის პირველი ნაწილი— 8 კრესიერი და 6 ნალმიანი გემი— ივლისის პირველ ორ კვირაში გავიდეს ბალტიის ზღვიდანაო. რუსეთის საადმირალოს იმედი აქვს, პორტ-არტური დიდ ხანს გაუმარცხდება მტერსაო; ამიტომ ბალტიის ესკადრის გაგზავნა მავდენად საშური არააო; სჯობია გემები უკეთესად დაეამზადოთ, კარგად გამოეცადოთ და მსუღვაურები გავაფრჯიშოთ; აქვე დარწმუნებული უნდა ვიყნეთ, რომ ესკადრა ბრძოლისათვის გამოადგება (პრ. ლ.“).

იაპონელებმა ტიურენშთან ბრძოლის დროს

კარგი დავლა იშოვეს. იაპონური გავ. „ძიძი“ სწერს, ეს სამხედრო დავლა სამ ნაწილადაა გაყოფილი: 1. რუსის არმიის წიგნები ნამდვილ დავლად ითვლება, ესე იგი ომის შემდეგ რუსეთს არ დაუბრუნდება; 2. კერძო კაცების საკუთარი წიგნები, თუ ამ წიგნებზე რამე ნიშნია დადებული, ან პატრონის სახელი ან გვარი აწერია, ომის შემდეგ პატრონებს დაუბრუნდება; 3. წითელ ჯვრის წიგნები მთლად დაუბრუნდება რუსეთს. პირველ ჯვრის დავლა დაუკონებლოდ იაპონიაში იგზავნება, ზოგიერთი იარაღი იაპონიის ჯარმა მაშინვე გამოიყენა და მოიხმარა. ზარბაზნები ძლიერ გაეფუჭებინათ რუსებს, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი მაინც გამოადგება სახმარებლად. რუსებს ან არა სდომებოდათ იმათი გაფუჭება, ან ვერ მოესწროთ და მხოლოდ ნაწილ-ნაწილად შეშალათ და ჯაგებში დაეშალათ. ჩვენ ეს ნაწილები შევკრიბეთ და რამდენიმე მთელი ზარბაზანი შევადგინეთ. ეტყობა, რუსებს მეტად სუფთად ჰქონიათ შენახული თავიანთი ზარბაზნები. ყველაფერს მშვენიერად, ღამაზად ღობაში გაჰქონდა. სწავს, რუსის არტილერიისკაც იაპონელ არტილერიისტზე არა ნაკლებ ჰყვარებია თავისი ზარბაზანი. („რ.“).

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * 29 ივნისს სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგს წავიდა კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მუღლითურთ. მთავარ-მართებელი გავიციეს თანაშემწემ, ინფანტერიის გენერალმა ა. ა. ფრეზემ, შტაბის უფროსმა, გუბერნატორმა, კომენდანტმა და სხვებმა. მთავარ-მართებელს თან ახლავს თავისი კანცელარიის უფროსი გენერალი ტრაფიმოვი.

* * ხოლერის საწინაღმდეგო სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ აცნობა გუშინ სახალხო კითხვათა გამამართველ საზოგადოების გამგეობას, რომ საქირთა გამგეობა ეხლავე შეუღეს კითხვათა გამართვის ყველა ენაზეო. კითხვები უნდა გაიშაროს ხოლერის შესახებ, როგორი ცხოვრებაა საქირთა ხოლერობის დროს, როგორ უნდა მოუაროს კაცმა თავს და სხვა. კომისია თავის მხრივ დახმარებას პირდება.

* ტფილისის სასანიტარო კომისიამ საიზოვია 1 ივლისს კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას, იკონიოს სახალხო ლექციების კითხვა ხოლერის შესახებ. სასანიტარო კომისია ჰპირდება საზოგადოებას ფულით დახმარებას; სადგომის შოვნას და სხ.

* ტფილისის სასანიტარო კომისიამ დაავალა გადამდებ სენის სამკურნალოების გამგეს, სამკურნალოს ერთს სადგომში ავადმყოფების მიღება შესწყვიტოს, სადგომი დაასუფთაოს და მზად იქონიოს ხოლერიან ავადმყოფების მოსათავსებლად იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში ხოლერა გაჩნდეს.

* გრიგოლს ბეგერად უფრო მეტი ზარალი მიუყენებია მოსკოვისთვის, ვიდრე ამას წინად სწერდნენ. მარტო ერთი გრიგოლისაგან განადგურებული სახელმწიფო ტყე ქალაქს ახლოს 2 მილიონ მანეთად ღირებულა. მოსკოვის ერობა მხნედ შეუდგა ზარილის რაიონების გამოარკვევასა და დაზარალებულთა დახმარებას.

* უმაღლეს მთავრობის წრეებში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ ქ. მოსკოვში და საგუბერნიო ქალაქებში დაწესებულ იქნას განსაკუთრებული თანამდებობა ქალაქის სამკოს თავმჯდომარისა. მიზეზი ამ ახალ თანამდებობის შემოღებისა სი არის, რომ ქალაქის მოურავნი, რომელნიც უმაღლეს საბჭოებში თავმჯდომარეობენ, ძალის ატანენ ხმოსნებს და გადაჭარბებით სარგებლობენ თავმჯდომარის უფლებით. სამკოს თავმჯდომარის კენჭის ყრით აირიყვინ. რუსეთის ვახუთების სიტყვით, ამ რეფორმას 1905 წელს შენაიღებენ.

ლიწილი. („რეტ. საგ.“). გახეთები მკაცრის კილოთი ჰტყებენ რუსებს გემ „მალაკა“ დაქერისისათვის. ამ გარემოებას. რომ რუსებს „მალაკა“-ს სვეასტოპოლში წაყვანა ვანუზრახავთ, ინგლისის გავითები ისე უკუტრებენ, როგორც რუსეთის იმ განზრახვას, რომ საბჭო ჰყოს დარდანელის სრუტეს ნეტრაოლიტები და ინგლისთან განხეთქილება გამოიწვიოს. „დეილი გრაფიკ“-ი ამბობს, რომ ის საკითხი—აქვს თუ არა კრისერ დეტერმპურგს უფლება თავის სურვილისამებრ მოეპურას საწვინტაროლო სახელმწიფოთა გემებსაო, გადაწყვეტილი უნდა იქნას (რომდგ, სანამ „მალაკა“ პორტ-საიდში მივიღო დესა. „დეილი გრაფიკ“ იმედს გამოაბჟამს, რომ ინგლისის ფლს სტამბოლში ბრძანება გაუგზავნეს, მათქვანს სულთანის ყურადღება იმ გარემოებას, რა დიდი ზანების გება მოკლის მას იმ საქმეში. „მორინე პოსტ“-ი ამბობს, დიდი ბრიტანია ვერ მოითავნის რუსეთის საქციელს გემ „მალაკა“-ს მიმართ, თუ არა სურს თავისი დიდი სახელმწიფოს

სახელი შეურაცხოს. გარდა ამისა ინგლისი როგორც იაპონიის მოკავშირე, არ დაარღვევოს რუსეთის ხელ-შეკრულება, რომლის ძალითაც უკანასკნელს ნება არა აქვს სამეტრო გემები ჰკუხუნოს დარდანელით. «სტანდარდ»-ი შენიშნავს, მთელი ინგლისის ერთი მოვლის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტრო მიიღებს უფრო სასტიკ ზომებს, ვიდრე დიპლომატია ჩვეულებრივ მოითხოვსა. ინგლისი კერ მოითმნეს, რომ „მალაკა“ დატყვევებული მიყვანონ დანიშნულ ალავას. ბეგერი მშვიდობის მოყვარე ინგლისელი იკითხავს მამინ, რაღა დღისთვის უნდა ინგლისს თავისი დიდი ფლოტიო?— «დეილი ქრონიკლ»-ი თავის მხრივ შენიშნავს: ჩვენი კავშირ-იაპონიასთან გეოქიულებს, ბეგითად განვიხილოთ ბრალდება რუსეთის წინააღმდეგ დარდანელის სრუტეში სამხეტრო გემების გავსუნის შესახებო. „დეილი ტელეგრაფი“ აინიშნავს: „რუსეთმა აღძრა მეტად რთული და საშიში საერთაშორისო საკითხი და ცხადია, ინგლისის გამოწვევა სურს; მთელმა ერმა სრული ნდობა უნდა გამოუცხადოს გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდ ლანსდოუნსაო.

* ყაზანის პოლიცემისტერმა პანფილოვმა კეალს მთავრო და გამოტება ერთი ქურდი, რომელიც სხვებთან ერთად ყაზანის მოსასტრადან ხატის მობარგაში ერთი ეს კაცი—ოქრომქელოცა, გვარად მაქსიმოვი. იგი ამბობს, რომ ბოროტ-მაქედება ყაზანში დროებით მცხოვრებელმა ჩიკინმა ჩიკინსა, რომელსაც ქურდობის დაფარვაში საყვარელი ენსარებოლა და შემდეგ ერთად წაიღინენ ნიენი ნოვგოროდში. ჩიკინმა სხლში დასტოვა თავისი დედა და ქალი. გუმერნატორმა დეგემა გაჭზუნა ნიენი ნოვგოროდში, სადაც სხვა-და-სხვა გემეხე დიპირეს ქურდები და ყაზანის საპურობოლემში მიიყვანეს. სახლის განჩრეკის დროს ბუხარში და სტოლის გამოფულურობესულ ფესში იპოვეს ძვირფასი თვლები, მარგალიტები და მაცხოვრის ხატის დაქირილი შესაბანო. იპოვეს გაყდული მარგალიტები და დღვას მშობლის ხატის ძვირფასი ნაწილები. მსოზობების სიტყვით, ჩიკინმა წასვლის წინ ნიეთემა ქალაქს გარედ გაიტანა ხრამში დასამდიდად. დაწვირლებით გაჩბრეკის შემდეგ აღმაინის მისწი ჩაფლული იპარადი, რომლითაც ქურდები სარგებლობდენ. დედამ და ქალიმ აჩვენეს, ხატები დამეტრის დსაწესო. საეკავა მათი სიტყვები ხატების დაწვის შესახებ რადგამ გამოცდილმა პორტ-მოქმედმა იკლად, რომ ხატები ძვირფასები იყენენ გამოძიება სწარმოებს.



„კატარა-ცევი“-ს საზღვრულ საზოგადოებაში

(Colonie des vacancees. Periencolonien.)

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-კატათების საკითხი 8—16 წლამდე.

კატარა-ცევი მდებარეობს ბორჯომის ახლო, ბაკურიაძის რკინის გზაზედ, საღებურ ნიკოლაევისა და საკოტეჯს შუა, მაღლობ-ვაკეზე, ფიქვნარში, 4400 ფუტის, ანუ 1300 მეტრის სიმაღლეზე, 230 ფუტით მაღლად აბასთუმანზე.

ამ ზღვხულს ვაიმართა სწინებულ ადგილს მოზარდ ქალ-ვაჟათების, **საზღვრულ საზოგადოებაში**, იმის მიზანით, როგორც ეს დიდის ხნიდან შემოღებულთა ევროპაში.

ამგვარ დაწესებულებას **მიზნად აქვს**: ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოლონიერება, სხეულის გაზარება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მომავლისათვის, რომ მოზარდის სხეული ასკდეს მრავალ მებნებელ ვითარებას და მედგად დაუხდეს მოსალოდნელ ავად-მყოფობას.

მთა-აღმოსავლელის ჰაერის სიმშაბე, სისუფთავე და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს ყოველ აგებულებაზედ, და განსაკუთრებით მარგებელია მათთვის, **ვინც არის**:

სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით, ან ხშირის ავად-მყოფობით, ვინც ნაად-მყოფობა, და საკმაოდ მოლონიერებული არ არის, მეუღლედ ვისაც გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმყოფობა; აგრეთვე ვინც მალა-დაკარგულია, ნერვებ-აშლილი, ქაობის ციკებით (მალარიით) შეპყრობილი, ვისიც ზრდა რაიმე მიზეზით დაზარებულია, ვისაც საკმარისი საზრდობა არა აქვს და ვისი სხეულიც დაძაბუნებულია.

ხანგრძლივის გამოცდილებით გამოირკვა და დამტკიცდა, რომ ყოველ ზემოხსენებულ ნაკლს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლოა ბუნებისათვის, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო **რიბინანდ ჰაერსა და მთის ჰაერს, დასვენება, უხვი საზრდო და მარჯობა**.

გარდა ამისა, ვინც ქალაქის უსუფთაო და შებუთულ ჰაერში სცხოვრებს, მათთვისაც **უსაზირომსნი** წმინდა ჰაერზე დასვენება, ღონის მოხვეჭა და სხეულის გაზარება, რომ ავადმყოფობამ მერმისში ადვილად არ იგდოს ხელი და არ დასჩაგროს.

საზღვრულ საზოგადოებაში **მიმდებარე** ორივე სქესის მოზარდნი 8—16 წლამდე, ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე ზემოხსენებული ნაკლი აქვს, აგრეთვე ისინი, ვისაც დასვენება ჰსურს.

არ მიიღებენ: მყოლიარე ავად-მყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, არც ფილტვების სოჭტებით დაავადმყოფებულნი; არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მალა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს, მაგალ. გულით ავადმყოფნი, ქარებით (რემეტიზმით) დაავადმყოფებულნი და სხვ.

მნიშობა და წამლობა არის უმთავრესად ბუნებრივი და ჰიგიენური: წმინდა მთის ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, სხეულის ყოველგვარი ვარჯიშობა: სხვა-და-სხვა გვარი შექცევა-თამაშობა, სვირნობა, მოგზაურობა, გასართობი მეუშაობა, ბანობა, საერთოდ საუ კეთესო ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება, ყოველივე შეფარდებული კერძოდ თვითველ ბავშვის აგებულებასთან, ექიმის ხელმძღვანელობით.

გადაჭარბებული საზრდოობა, თვითულის აგებულებასთან შერჩეული, დღეში ექვსჯამო.

საზაფხულო სამყოფის ერთხელეც დადგენილი წეს-რიგი, რომელსაც მოზარდნი ადვილად ეწვევიან და საშემდეგოდაც ითვისებენ, ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაეთანხმება ამ წესებს, მან უნდა მიატოვოს ეს სამყოფი არა უგვიანეს ერთის კვირისა.

მოზარდნი არიან **დაქოვილნი ჯაზუფაბად**, სქესისა, ასაკისა და წლოვანების მიხედვით. თვით ულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალ-ყურის-მგდებელი და ყველანი საერთოდ იპოუფებიან ექიმის მუღმიე ხელმძღვანელობაში.

საზაფხულო სამყოფის ხანად განსაზღვრულია **ღრი თხე**: 15 ივნისიდან 15 მარამობისთეგმდე. მსურველთათვის ეს ხანა შეიძლება უფრო გაგრძელებულიც იქნეს.

პირადად ანუ წერილით ამ საქმის შესახებ ყოველგვარ ცნობების შესატყობად **მსურველთ** შეიძლება **მიმართონ** ექიმს ვახტანგ დავითის ძეს დამაშვიძეს ბორჯომით, პატარა-ცემს.

თუ პირადად ჩვენება მოუხერხებელია, უნდა გვაცნობონ, ადგილობრივის ექიმის გასინჯვით, რას ნსუნებდა აქვს იმ მოზარდს, რომლის დაბინავებაც ჰსურსთ საზაფხულო სამყოფში.

მისასვლელი გზა საზაფხულო სამყოფში: ბორჯომიდან მე-25 ვერსზე, ბაკურიანის რკინის გზით სადგურ ნიკოლაევოსთან, საკუთარის ბაქანით, რომელიც არის თვით საზაფხულო სამყოფის წინ.

მატარებლის მიმოსვლა: ბორჯომიდან გადის დილის 8 ს. 58 წ. და ნაშუადღევს 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემს“ მიდის: 1) დილის 11 ს. 13 წ. და 2) საღამოს 7 ს. 32 წ.

პატარა-ცემიდან: ნაშუადღ. 1 ს. 19 წ. და საღამოს 9 ს. 43 წ. გადის.

ბორჯომში მოდის: 1) ნაშუადღ. 3 ს. 29 წ. და 2) 11 ს. და 33 წ.

ვისაც სურს, შეუძლია მოვიდეს პატარა-ცემს, ბორჯომში ღამის-გათუთევლად, დარჩეს იქ 2 საათსა და 10 წამს და იმავე დღეს დაბრუნდეს; ხოლო ვისაც მეტის ხნით მოესურვება პატარა-ცემს დარჩენა, შესაძლოა დილის მატერებელით ასეა ბორჯომიდან და საღამოს დაბრუნება. მაშინ პატარა-ცემს 9 საათითა და ნახევრით შეიძლება დარჩენა:

მიმოსვლა ღამის გაუთუთევლად:

თბილისიდან დილის 8 ს. 58 წ., ხაშურიდან 1 ს. 28 წ., ბორჯომს 2 ს. 20 წ. ბორჯომიდან 5 ს. 28 წ. ბათუმიდან დილის 6 ს. 4 წ., ფოთიდან 6 ს. 48 წ., ქუთაისიდან 9 ს. 43 წ. ყვირილიდან 11 ს. 31 წ. ხაშურიდან 3 ს. 3 წ. ბორჯომს 3 ს. 55 წ. ბორჯომიდან 5 ს. 28 წ

შ ი ნ ა რ ს ი:—სალიტერატურო განყოფილება: სამსონ ბ. თოფურიას გარდაცვალების გამო, დღე-და დამაშვიძის.—ეკლესია, თარგ. ს. გარბაძისა, — ს. ბ. თოფურიას მოსვენება ქ. ქუთაისში, —დასაფლავება —სიტყვა ყოვლად სასუფლევლო ლეონიდას, წაითხული დეკ. გ. ცაგარეიშვილის მიერ ს. ბ. თოფურიას დასაფლავების დროს. —სიტყვა წარმოთქმული სპ. ვირსალაძისაგან, —სიტყვა თქმული აკაკის მიერ ს. თოფურიას დასაფლავებაზე. —სამსონ თოფურიას ხსოვნას, (ღეჟსი) თ. როსტომ—გუმა ჩი-ვანის.—ქორნალ-ვაზებებიდან.—ახალი ამბები და შემეშენები.—განცხადება, პატარა ცემის საზაფხულო სამყოფის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою Архивариитъ Георгій 17 Юля 1904 г.

Типог. редакції журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.